ადმინისტრაციის სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების
და ანალიზის სამმართველო

მონაცემთა ინტეგრაცია და ანალიზი

სიტუაციის აღწერა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ამუშავებს დიდი მოცულობის მონაცემებს/ინფორმაციას, შესაბამისად აქვს არაერთი ბაზა/ინფორმაციის წყარო, რომელიც გაბნეულია სტრუქტურულ ერთეულებში და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებში, სხვადასხვა სერვერზე და ფორმატში. ბაზებს შორის არ არსებობს კავშირი, ინფორმაცია ფრაგმენტირებულია და არ იძლევა ერთიანი სურათის დანახვის საშუალებას.

სამინისტროს არ ჰყავს შესაბამისი კადრი (მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი), ვინც პასუხისმგებელი იქნება ინფორმაციის წარმადობაზე, დაცულობასა და ინტეგრირებულობაზე.

სამომავლო ხედვა

სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების და ანალიზის სამმართველომ, IT დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა უზრუნველყოს ერთიანი ანალიტიკური სისტემის შექმნა, რომელიც თავის მხრივ მონაცემთა ერთიან საცავზე (data warehouse) იქნება დაფუძნებული. მონაცემთა ერთიანი საცავი გულისხმოს არსებული SQL და NoSQL მონაცემთა ბაზების კატალოგირებას, მათ ტრანსფორმაციას და ინტეგრაციას. ერთიანი ანალიტიკური სისტემა საშუალებას მოგვცემს რეალურ დროში დავინახოთ სამინისტროს ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, განვახორციელოთ კომპლექსური „ქუერინგი“ და ვიზუალიზაცია. ეს ყოველივე საშუალებას მოგვცემს ხელი შევუწყოთ ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

განხორციელებული აქტივობები

- შეხვედრა IT დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან. EHR მონაცემთა ბაზის გაცნობა. მონაცემთა საცავის შექმნის და მონაცემთა მასკირების საჭიროების განხილვა;
- შეხვედრა IT დეპარტამენტის უფროსთან და IBM-ის წარმომადგენელთან;
- შეხვედრა რეგულირების სააგენტოს წარმომადგენელთან. მონაცემთა შეგროვების პროცესში არსებული ხარვეზების განხილვა;